**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –**
**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის**
# წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 15 დეკემბერი, 2011 წელი

## გადაწყვეტილება № 3

**სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის**
**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების**
**წესში ცვლილებების შეტანის შესახებ**

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღ-ლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2011 წლის № 92 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. ბათუმის ხელოვნების სასაწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საგანმანათლებლო პროგრამების თავფურცელზე უნდა მიეთითოს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, შესაბამისი ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), საგანმანათლებლო პროგრამის კოდი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები.

2. მე–3 მუხლის მე–7 პუნქტს დაემატოს 7 ² ქვეპუნქტი:

7². კინო-ტელე ხელოვნების მიმართულებით სემესტრის მანძილზე სტუდენტი სპეციალობის მაპროფილებელ საგანი/საგნებში საუდიტორიო (ლექცია/პრაქტიკული) საათების 50%-ის არასაპატიო მიზეზით გაცდენების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ გამოცდაზე და ეკისრება საგნის/საგნების განმეორებით გავლა.

3. მე–3 მუხლის მე–7 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) სასცენო ხელოვნების სტუდენტი სამსახიობო მიმართულების საგანში/ საგნებში (მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა) სემესტრის მანძილზე განსაზღვრული სალექციო საათების 25% არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში არ დაიშვება სემესტრულ გამოცდაზე და ეკისრება საგნის/საგნების განმეორებით გავლა მომდევნო სასწავლო წლის კურსთან ერთად.

4. მე–5 მუხლის მე–20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სტუდენტს, რომელიც ფინანსური დავალიანების გამო არ დაიშვა სპეციალობის სემესტრულ გამოცდაზე/გამოცდებზე, მიეცეს უფლება ფინანსური დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ ჩააბაროს სპეციალობის გამოცდა/გამოცდები, სწავლის საფასურის გადახდის წესით დადგენილი ვადების შესაბამისად.

სამსახიობო სპეციალობის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტი, სპეციალობის გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაიშვება სპეციალობის სემესტრულ გამოცდაზე, მაგრამ შეფასება საგანში ჩაეწერება მხოლოდ სემესტრული სწავლის საფასურის სრულად გადახდის შემთხვევაში.

5. მე–5 მუხლის მე–21 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სასცენო ხელოვნების მიმართულების სტუდენტს, რომელიც მიიღებს სრულიად არადამაკმაყოფილებელ შეფასებას მსახიობის ოსტატობაში, ეკრძალება სწავლის გაგრძელება აღნიშნული საგნის მომდევნო ეტაპზე და მან განმეორებით, მომდევნო სასწავლო წლის კურსთან ერთად, უნდა გაიაროს საგანი.

6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი**
**საბჭოს სპიკერი** **თ. მეიშვილი**